f

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2025 წლის _ _ იანვარი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482503061; 30/01/2025) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — არჩილ ღიბრაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482503061**
თარიღი: **30/01/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში განსახილველად შემოვიდა ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს 2025 წლის 29 იანვრის №126/4 წერილი და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2025 წლის 29 იანვრის №04-4825029191 წერილი ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს 2025 წლის საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთში ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს მიზანშეწინილად მიაჩნია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში განხორციელებული იქნას შემდეგი ცვლილებები, კერძოდ:

1. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორის სახელფასო განაკვეთი, ნაცვლად 800 ლარისა განისაზღვროს 925 ლარით;
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 800 ლარისა, განისაზღვროს 925 ლარით;
3. ტურიზმის სტიმულირებისა და ბრენდის განვითარების კოორდინატორის სახელფასო განაკეთი ნაცვლად 800 ლარისა,განისაზღვროს 925 ლარით;
4. საინფორმაციო მომსახურების ტურ-ოპერატორის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 733 ლარისა განისაზღვროს 858 ლარით;
5. საფინანსო-ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 950 ლარისა, განისაზრვროს 1075 ლარით;
6. ლოჯისტიკის მართვის კოორდინატორის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 733 ლარისა, განისაზღვროს 858 ლარით;
7. დამლაგებლის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 333 ლარისა, განისაზღვოს 458 ლარით.

აღნიშნული ცვლილებით ერთი თვის სახელფასო ფონდის ზრდა შეადგენს 1000 ლარს, ხოლო წლის ბოლომდე 11000 ლარს, რომელიც წლის ბოლომდე დაფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით . ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ." ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ, თანხმობას ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დანართი თან ერთვის

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის 2025 საშტატო ნუსხა დანართი #1

თანამდებობის დასახელება	**შტატები**	**თანამდებობრივი სარგო**
სულ	**10**	
დირექტორი	1	2700
დირექტორის მოადგილე	1	1500
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი	1	925
საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატ	1	925
ტურიზმის სტიმულირებისა და ბრენდის განვითარების კოორდინატორი	1	925
საინფორმაციო მომსახურების ტურ-ოპერატორი	1	858
ლოჯისტიკის მართვის კოორდინატორი	1	858
დამლაგებელი	2	458
საფინანსო ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორი	1	1075